ივნისი
შაბათი 22

საქართველოს კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოსა და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП
ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА
ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ
ГРУЗИНСКОЙ ССР

პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ივნისი
შაბათი 22
1968

გამოცემის 49-ე წელი

№ 144 (14140) • ფასი 2 კაპ.

იდეური აღზრდის ყველა საშუალება — კომუნისტური რწმენის განმტკიცებისათვის

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხს ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველთა საფუძველია, პარტიული პროპაგანდის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე რევოლუციური თეორია კომუნისტებს უნერგავს იდეურ მებრძოლთა თვისებებს, რომელნიც მოწოდებული არიან აწარმოონ შეურიგებელი, შეტევითი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე, უნერგავს ყველა საბჭოთა ადამიანს კომუნისტურ რწმენას, იდეურ სიმტკიცეს.

სწორედ ამ ამოცანებს მიაპყრო ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, როცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება და რომ ამ პირობებში სკკპ წევრთა და ყველა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, პარტიის იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერება ყველა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა.

კომუნისტური პარტია ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იდეოლოგიის დარგში არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა, ისევე როგორც არ შეიძლება იყოს კლასობრივი ზავი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმამდე ცოტა ხნით ადრე იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XIX კონფერენციაზე, რომელზეც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ ახლა მიმდინარეობს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა და რომ ფრონტის ხაზი ამ ბრძოლაში გადის სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ამასთან აღნიშნა, რომ იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენს დროში კლასობრივი ბრძოლის უმწვავესი ფორმაა.

შემდეგ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ თქვა, რომ ისტორიული პირობების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა კლასობრივი ბრძოლის ფორმაც, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რევოლუციის მტრები მიმართავდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებას.

როგორც კი გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საერთაშორისო იმპერიალიზმი გამოვიდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ორგანიზატორად. მტრებმა ჩვენს ქვეყანას შემოარტყეს უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და თეთრგვარდიელთა ჯარების ორმაგი ალყა და ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუცია.

მაგრამ ვერც ბლოკადამ, ვერც კონტრრევოლუციურმა ამბოხებებმა, ვერც ანტისაბჭოთა შეთქმულებებმა ვერ შეარყია საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფა და კომუნიზმის იდეებისადმი რწმენა.

ჩვენ გავუძელით ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჯერ კიდევ სუსტი ვიყავით სამხედრო თვალსაზრისით.

ჩვენ გავიმარჯვეთ, იმიტომ რომ სულით ძლიერნი ვიყავით!

და ის ძალა, რომელმაც შეაკავშირა მშრომელები, შეადუღაბა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხის კავშირი და გაუძღვა მათ გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, იყო იდეური, კომუნისტური რწმენის ძალა!

რაკი ვერ შეძლეს მოესპოთ საბჭოთა რესპუბლიკა სამხედრო ძალით, იმპერიალისტებმა სცადეს ეკონომიურად გაეტეხათ იგი. მაგრამ პარტიამ დაძლია უდიდესი საერთაშორისო და შინაგანი სიძნელენი და მშრომელებს გაუძღვა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საბრძოლველად. მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეფუშათ მშვიდობიანი მშენებლობის გეგმები და მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას, თანაც აცხადებდნენ, რომ პარტიის გადაწყვეტილება — მოეპოვებინა სსრ კავშირისათვის ეკონომიური დამოუკიდებლობა — სხვა არა იყო რა, თუ არა „ილუზია“, „ფანტაზია“.

მაგრამ ვერც მტრის გამოხდომებმა, ვერც უცხოეთის დაზვერვათა აგენტების ხრიკებმა და მით უმეტეს ბურჟუაზიულ პოლიტიკოსთა და მჭღაბნელთა „წინასწარმეტყველებამ“ ვერ შეარყია საბჭოთა ხალხის საბრძოლო ნებისყოფა, კომუნიზმის გამარჯვების რწმენა.

ჩვენ გავუძელით ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა გაპარტახებული იყო, მისი მეურნეობა კი გაჩანაგებული.

ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ სულით ძლიერნი ვიყავით!

და ის ძალა, რომელმაც აღაფრთოვანა საბჭოთა ადამიანები სოციალიზმის მშენებლობისათვის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, კაპიტალისტური გარემოცვისა და იმპერიალიზმის აგრესიული ძალების მოსალოდნელი თავდასხმის ვითარებაში, იყო იდეური, კომუნისტური რწმენის ძალა!

როცა მიხვდნენ, რომ ასეთი ხრიკებით საბჭოთა ხალხს ვერ გადაახვევინებდნენ სოციალისტური გზიდან, იმპერიალისტებმა გაძლიერეს თავდასხმები, განაახლეს სამხედრო პროვოკაციები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, შემდეგ კი გერმანიის ფაშიზმმა სსრ კავშირს თავს მოახვია ომი, რომლის დამთავრებას ჰიტლერული სარდლობა რამდენიმე კვირაში აპირებდა და აცხადებდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები უთავო თიხის გოლიათს წარმოადგენენ“.

მაგრამ ვერც ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის ხელში ჩაგდებამ და ჩვენი შორეული აღმოსავლეთის საზღვრების ხელყოფის საშიშროებამ, ვერც აშკარა აგრესიამ ხასანის ტბის რაიონში, ვერც საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეიარაღებულმა კონფლიქტმა, ვერც ნაქებმა გერმანიის „ვერმახტმა“ და ვერც იმ წინასწარმეტყველებამ, რომ ჩვენ ელვისებურად დაგვამარცხებდნენ ყბადაღებული ფაშისტური „ბლიცკრიგის“ შედეგად, ვერ შეარყია საბჭოთა ხალხის სიმტკიცე და სწრაფვა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლა ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ გავუძელით ყველაფერს, მოვიგერიეთ ფაშისტთა შემოსევა, გადავედით შეტევაზე და გავიმარჯვეთ, იმიტომ რომ სულით ძლიერნი ვიყავით!

და ის ძალა, რომელმაც დარაზმა ჩვენი გმირი მეომრები, მთელი საბჭოთა ხალხი სამართლიანი ომისათვის, დარაზმა ადამიანები ფრონტზე და ზურგში მტრის გასანადგურებლად, ჩაუნერგა მათ ჩვენი საბოლოო გამარჯვების რწმენა და აღაფრთოვანა დიადი გმირობისათვის, იყო იდეური, კომუნისტური რწმენის ძალა!

ახლა იმპერიალიზმს აღარა აქვს იმის იმედი, რომ სოციალიზმს ბრძოლის ველზე შემუსრავს.

იმისათვის, რომ შეასუსტოს სოციალისტური ქვეყნების, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა, დაქაქაფოს თანამედროვეობის მოწინავე ძალები, სცადოს შიგნიდან გამოუთხაროს ძირი სოციალისტურ საზოგადოებას, იმპერიალიზმმა აამოქმედა ანტიკომუნისტური პროპაგანდის მთელი უზარმაზარი აპარატი.

აი რატომ მოგვიწოდებს ახლა პარტია შეტევითი ბრძოლა ვაწარმოოთ ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ; **იდეური აღზრდის ყველა საშუალება გამოვიყენოთ კომუნისტური რწმენის განმტკიცებისათვის.**

სწორედ ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ღრმა განმარტება, სწორედ ეს არის მთელი ჩვენი პარტიული განათლების ძირითადი დანიშნულება.

პარტია მუდამ პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ანიჭებს და კვლავაც მიანიჭებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას, იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ყველა დიდი გამარჯვება მოპოვებულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს.

კომუნისტთა და ყველა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას უდიდესი ყურადღება დაუთმო სკკპ XXIII ყრილობამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების საარსებო ამოცანაა ის, რომ სერიოზულად გაუმჯობესონ პარტიის წევრთა, განსაკუთრებით ახალგაზრდა კომუნისტთა, მარქსისტულ-ლენინური განათლება, მათი იდეური წრთობა, და რომ, პარტიული განათლების მთელი სისტემა უნდა ამაღლდეს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპის ამოცანათა დონეზე.

აღნიშნა რა, რომ ამხანაგ დ. გ. სტურუას მოხსენებასა და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში საკმაოდ სრული და ღრმა ანალიზი ჰქონდა გაკეთებული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას კომუნისტთა და უპარტიოთა პარტიული განათლების გაუმჯობესებისათვის, ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე შეეხო იდეოლოგიური მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებს და კერძოდ, პარტიული განათლების ამოცანებს.

ჯერ ერთი, იმისათვის, რომ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ კომუნისტთა და უპარტიოთა თეორიული მომზადება, საჭიროა უკუვაგდოთ ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი, როგორც პარტიული სწავლების ორგანიზაციაში, ისე თვით ცოდნის შინაარსში, ხელი ავიღოთ თეორიისადმი გაუბრალოებულ მიდგომაზე, დოგმატიზმსა და მედავითნეობაზე საპროგრამო მასალის შესწავლისას. ამისათვის კი საჭიროა უფრო გულდასმით მივუდგეთ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, მათი ოსტატობის ამაღლებას, უფრო ფართოდ ჩავაბათ პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩვენი მეცნიერი და შემოქმედებითი ინტელიგენცია და უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას, რომლებიც ზოგჯერ იმის მომიზეზებით, რომ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას დამოუკიდებლად ვსწავლობთო, არსებითად აღარ ზრუნავენ თავიანთი იდეური ზრდისათვის. ზოგიერთმა თეორიული სწავლება შეწყვიტა იმ საბაბით, რომ მოუცლელი, მიმდინარე საქმეებით გადატვირთული ვარ და დრო არა მყოფნისო. უნდა ითქვას, რომ მეცადინეობისათვის დრო ახლა ყველას აქვს და ის, ვინც ამბობს, რომ ამისათვის დრო არა რჩება, უნდა გამონახოს იგი, იმიტომ, რომ თვითეული კომუნისტის საწესდებო მოვალეობაა ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იმაღლებდეს იდეურ დონეს.

პარტიის XVIII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ არის მეცნიერების ერთი დარგი, რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს ყოველი სპეციალობის მუშაკთათვის, თუ მათ სურთ იყონ ნამდვილი ლენინელები. ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ.

ხომ ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფო და პარტიული მუშაობის ყველა დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიანია მუშაობის შედეგები და, პირიქით, რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია ჩაშლა და ჩაფუშვა მუშაობაში, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინებმა და მენამეცეც საქმოსნებად გადაქცევა, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება.

ჩვენ უნდა ვეწეოდეთ რევოლუციური თეორიის პროპაგანდას მშრომელთა უფართოეს ფენებში. იმიტომ რომ თეორია, როგორც მარქსმა თქვა, მატერიალური ძალა ხდება, როგორც კი მასებს დაეუფლება.

მეორე, უნდა ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი მთელ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ შესამჩნევად გაცხოველდა ჩვენი ჰუმანიტარული ინსტიტუტებისა და კათედრების მუშაობა. ამ ბოლო ხანს მეცნიერებმა შეასრულეს ბევრი მნიშვნელოვანი კვლევა, გაუმჯობესდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლება რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. ახლა სტუდენტები მეტ ინტერესს იჩენენ სკკპ ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიისა და მეცნიერული კომუნიზმის შესწავლისადმი. მათი ცოდნა ამ საგნებში უფრო გაღრმავდა.

მიუხედავად ამისა, ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა უნდა შეასრულონ დიდი როლი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ შემოქმედებითს განვითარებაში. მეცნიერთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეკონომიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ისტორიისა და სამართლის პრობლემების დამუშავება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარება და მათი რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვა არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე ბუნებისმეტყველების მიღწევების გამოყენება მატერიალური წარმოების სფეროში და ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარებაში.

ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ უმაღლეს სასწავლებელში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ხარისხი, იმიტომ, რომ ჩვენი სპეციალისტები არა მარტო სრულყოფილად უნდა ფლობდნენ თავიანთ სპეციალობას, არამედ კიდევაც უნდა იცოდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონები, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ჰქონდეთ ფართო ჰორიზონტი.

მაგრამ არა მარტო უნდა გავაუმჯობესოთ სტუდენტების მარქსისტულ-ლენინური განათლება, არამედ კიდევაც გავაძლიეროთ მთელი ჩვენი ახალგაზრდობის იდეური აღზრდა.

მესამე, ამიტომ ჩვენი ამოცანა ის არის, რომ გავამდიდროთ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები, ახალგაზრდა თაობას ჩავუნერგოთ და განვუმტკიცოთ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, კლასობრივი მიდგომა ცხოვრების ყველა მოვლენისადმი, მაღალი იდეური რწმენა, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება, აღვზარდოთ ქალიშვილები და ჰაბუკები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე.

მეოთხე, ამოცანა ის არის, რომ ავამაღლოთ ჩვენი ინტელიგენციის, და უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მუშაკების, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი და პასუხისმგებლობა მთელი იდეოლოგიური მუშაობის აღმავლობაში. ამისათვის, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა უნდა გავაუმჯობესოთ თვით ინტელიგენციის თეორიული მომზადება, იმიტომ, რომ მისი მარქსისტულ-ლენინური წრთობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული ახალი ადამიანის კომუნისტური აღზრდის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

უნდა ითქვას, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში შესამჩნევად გამოცოცხლდა იდეოლოგიური მუშაობა. ამ ბოლო დროს მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებმაც კვლავ ცხადყო ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი რაზმების მაღალი იდეურობა, მისი ერთგულება კომუნისტური იდეალებისადმი, პარტიისა და ხალხისადმი.

ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე, რომელმაც განიხილა მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში შემოქმედებითი ინტელიგენციის როლის შემდგომი გაძლიერების ამოცანები. მთელი თავისი საქმიანობით ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია იცავს სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების გეგმაზომიერი, მიზანდასახული იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, იდეოლოგიური ფრონტის ყველა რაზმის მეცადინეობის კოორდინაციის გაუმჯობესების მეოხებით, ჩვენში რამდენადმე მნიშვნელოვნად ვერ გავრცელდა ჩვენი საბჭოთა სინამდვილის სახელის გატეხის განწყობილებანი, ისევე როგორც ნაციონალისტური ხასიათის ზოგიერთი გამოვლინება, რომლებსაც ერთ დროს აღგილი ჰქონდა.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ იქმნება ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ, კინოხელოვნების როგორც იდეურად, ისე მხატვრული თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოებები. და კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალისტური რეალიზმის პრინციპისაგან ყველა და ყოველგვარ გადახვევას, ცალკეულ იდეურ შეცდომებს ზოგიერთი ჩვენი მხატვრის, კომპოზიტორის, კინომოღვაწის მუშაობაში სამართლიანად აკრიტიკებს, საკადრის პასუხს აძლევს თვით შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომელიც მთლიანად, მტკიცედ დგას პრინციპულ, პარტიულ იდეურ-შემოქმედებითს პოზიციებზე.

მეხუთე, ყველაზე მთავარი, უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნას რომ ეუფლებიან, კომუნისტებს, ყველა მშრომელთ შეეძლოთ ეს ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკულად, თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას.

პარტია მოგვიწოდებს უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური საქმიანობა ყველა მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების ამოცანებს, საწარმოო დავალებათა შესრულებაში, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებაში თვითეული საბჭოთა ადამიანის პრაქტიკულ წვლილს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ თეორია უპრაქტიკოდ მკვდარია, ისევე როგორც პრაქტიკა უთეორიოდ ბრმაა.

თეორიამ კვლავაც უნდა გაუკვლიოს გზა პრაქტიკას, უზრუნველყოს მკაცრი მეცნიერული მიდგომა საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობისადმი.

აი რატომ უნდა წარვმართოთ მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა იმისათვის, რომ აღვზარდოთ ადამიანები შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, რადგან შრომის სოციალისტური დისციპლინა, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოების განვითარების უცილობელი კანონია.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შედეგებს მიეძღვნა, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დარგში მთელი მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლასთან.

დღესაც კვლავ უნდა ვთქვათ ეს, იმიტომ, რომ სახალხო დოვლათის დამტაცებლები, სპეკულანტები და მექრთამეები არა მარტო ეკონომიურ ზარალს აყენებენ ჩვენს საზოგადოებას, არამედ გამხრწნელ გავლენასაც ახდენენ მასზე, ხელს გვიშლიან წარმატებით ვეწეოდეთ მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას.

ზემოქმედების სხვა ღონისძიებებთან ერთად ასეთი ადამიანების წინააღმდეგ უნდა დავრაზმოთ საზოგადოებრივი აზრი, შევქმნათ მათ გარშემო შეურიგებლობის ვითარება, ისე, რომ არც ერთი კაცი არ იყოს გულგრილი იმ ფაქტებისადმი, რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩვენს მშვენიერ სინამდვილეს.

საჭიროა მტკიცედ შევითვისოთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: კიდევ უფრო რომ განმტკიცდეს საბჭოთა წესწყობილების დემოკრატიული საფუძვლები, კიდევ უფრო ფართოდ რომ განვითარდეს და გაფართოვდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმი, საჭიროა ყოველი ღონით განვამტკიცოთ შრომითი და სახელმწიფო დისციპლინა, მოვითხოვოთ, რომ უთუოდ სრულდებოდეს ჩვენს საზოგადოებაში მიღებული კანონები და წესები.

პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-პოლიტიკური მუშაობა იმისაკენ უნდა წარვმართოთ, რომ მშრომელები აღვზარდოთ ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, ხალხის საუკეთესო, პროგრესული ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემის, ხალხთა ნამდვილი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით. შეუპოვრად უნდა ვებრძოლოთ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ეზრდიდეთ ადამიანებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური ქვეყნების ყველა მოძმე ხალხთან, მთელი მსოფლიოს მშრომელებთან თანამეგობრობის განმტკიცების სულისკვეთებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: იდეოლოგიური მუშაობა მთელი ჩვენი პარტიის საქმეა, ყველა კომუნისტის საქმეა.

ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი ბეჯითად მუშაობდეს იდეოლოგიურ ფრონტზე, რომ პარტიის ძალები მიზანდასახულად წარიმართოს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების ორგანიზაციული და პოლიტიკური გადაჭრისათვის.

დასასრულ ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

მთელი ეს წარმატებანი მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნებულობისა და აქტივობის, შრომისადმი მათი კომუნისტური დამოკიდებულების, მათი იდეური რწმენის შედეგია, მათი საბრძოლო ნებისყოფის და ჩვენი საქმის გამარჯვებისადმი რწმენის შედეგია.

მაგრამ კომუნისტებს არა სჩვევიათ განცხრომას ეძლეოდნენ წარმატებათა გამო, სჯერდებოდნენ მიღწეულსა და მოპოვებულს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ ბევრი გადაუწყვეტელი ამოცანა გვაქვს. მიღწევებთან ერთად უნდა ვხედავდეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ ამ ამოცანათა გადაწყვეტას, ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ვინც ამ ნაკლოვანებებს ვერ ხედავს, ვისაც ეს სერიოზულად არ აწუხებს, გაუძნელდება ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა, ვერ განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს საქმის გამოსასწორებლად. არასოდეს არ უნდა ვარიდებდეთ თვალს შეცდომებსა და ხარვეზებს, არ უნდა ვჭქმალავდეთ მათ. სულ ერთია, ადრე თუ გვიან ისინი თავს იჩენენ. ამიტომ უმჯობესია დროზე ვაღიაროთ, გამოვავლინოთ ისინი და ყოველი ღონე ვიხმაროთ მათ აღმოსაფხვრელად. კომუნისტური პარტიის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვებას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ კრიტიკულად შეგაფასებთ ჩვენი მუშაობის შედეგებს, მხოლოდ მაშინ, თუ მომთხოვნელი ვიქნებით საკუთარი თავისა და სხვების მიმართ.

უეჭველია, რომ იდეური, კომუნისტური რწმენის ძალა, ისევე როგორც ყოველთვის, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზეც ის ძალა იქნება, რომელიც დაგვეხმარება აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი, და რომელიც დარაზმავს მთელ საბჭოთა ხალხს, რომ კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის! (საქდესი).

კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. გ. სვურუას მოხსენება

ამხანაგებო!

თანამედროვე მსოფლიოს სახის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის შემდგომი გამწვავება.

რაც უფრო მცირდება შესაძლებლობანი სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გლობალური შეიარაღებული კონფლიქტისათვის, იმპერიალიზმი მით უფრო ხშირად მიმართავს ლოკალურ ომებსა და ინტერვენციებს, შეთქმულებებსა და პროვოკაციებს, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას, ეკონომიურ ზეგავლენას, დაშინებასა და შანტაჟს, იდეოლოგიურ დივერსიებს.

განიცდის რა სერიოზულ შერყევებს და აწყდება რა დიდ ჩავარდნებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, იმპერიალიზმი, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმი, სამხედრო-პოლიტიკურ დარგში ავანტიურების გარდა, სულ უფრო მეტ ძალღონეს ახმარს ძირგამომთხრელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „როცა ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, ბურჟუაზია ყველაგან და ყოველთვის მიმართავდა და კვლავაც მიმართავს ყოველად უკანასკნელ საშუალებას და ცილისწამებას“, ომს, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს წინასწარგანზრახული სიცრუისა და პროპაგანდის ბინძური მეთოდების იმედი აქვთ, ნათლად მოწმობს ამერიკის „პოლიტიკური ინფორმაციის კომიტეტის“ თავმჯდომარის გენერალ ჯესსონის სიტყვები. „კომუნისტების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ომში, — განაცხადა მან, — გვჭირდება არა სიმართლე, არამედ ძირგამომთხრელი მოქმედება. ასეთ ომში დაგვჭირდება ყველა ავაზაკი და განგსტერი, რომლებსაც ამა თუ იმ ბერხით მოვიზიდავთ“. უფრო ნათლად ვერ იტყვის!

ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ბევრი „ინსტიტუტი“ და „საკალევი“ ცენტრი, რომლებიც სწავლობენ ვითარებას სოციალისტურ ქვეყნებში და ამუშავებენ სპეციალურ პროგრამებს იდეოლოგიური დივერსიების განხორციელების მიზნით. ამ საქმიანობის კოორდინაციას დაკისრებული აქვს „სტრატეგიული ფსიქოლოგიური ოპერაციების“ საერთო ხელმძღვანელობის სპეციალურ კომიტეტს, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ანტაკომუნისტურმა პროპაგანდამ ბევრი დეპეშათა სააგენტო, გაზეთი და ჟურნალი, წიგნის გამომცემლობა, რადიო, ტელევიზია, კინო, ელესხია დაიქვემდებარა. ამავე მიზნებით იყენებენ ტურიზმს, კულტურულ ურთიერთობას, კერძო მიწერ-მოწერას და ა. შ.

ბურჟუაზიული იდეოლოგია ახლა ღრმა კრიზისს განიცდის, ანტიკომუნიზმს სულისკვეთებით გამსჭვალული ეს იდეოლოგია ებრძვის ყოველივე პროგრესულს და იცავს ყოველივე დრომოჭმულს, რეაქციულს. თანამედროვე ბურჟუაზიას მომავალი არა აქვს. და სწორედ ამიტომ ვერ წამოუყენებია მის იდეოლოგებს ვერც ერთი კონსტრუქციული იდეა, ვერ შეუქმნიათ დადებითი იდეალები, რომლებიც ოდნავ მაინც აღფრთოვანებდნენ ხალხის ფართო მასებს. „კომუნისტები, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი რეტონი, — ნთლად ხედავენ თავიანთ მიზანს და ესწრაფვიან ამ მიზანს, ჩვენ კი ასეთი მიზანი არ გაგვაჩნია...“

ერთ-ერთი ავბედითი გამოვლინება კაპიტალისტური ცხოვრების წესის სრული გახრწნისა, იმისა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ თავისუფლებათა დროშა მართლაც ფიქვენ გათელილი და გადაგდებულია, იყო მარტინ ლუთერ კინგის თავმდებრი მოკვლა და მთელი რიგი სხვა პოლიტიკური მკვლელობანი.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია სუსტი მოწინააღმდეგე როდია, რომელსაც შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. მისი საფუძველია უწინარეს ყოვლისა ეკონომიური და პოლიტიკური ძალიერება ბურჟუაზიისა, რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში.

თანამედროვე ეტაპზე მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ნათლად გამოიხატა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების დარგში გაშუქებულია ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაში რესპუბლიკის პარტიული აქტივის ამასწინანდელ კრებაზე.

საქართველოს კომუნისტებმა ერთსულოვნად, მთლიანად და სავსებით მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის შედეგები და დადგენილება და ამით ცხადყვეს, რომ მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინურ საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

იდეოლოგიური ბრძოლა ჩვენს დროში კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და მწვავე ფრონტია. შეურიგებელ ბრძოლას მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, იმპერიალიზმის ბრიკების, გადაჭრით მხილებას, სკკპ წევრებისა და ყველა მშრომელის კომუნისტურ აღზრდას, პარტიის მთელი იდეოლოგიური საქმიანობის ძაღლიერებას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

პარტიამ შეიძინა იდეოლოგიური მუშაობის, პარტიული პროპაგანდის უდიდესი გამოცდილება. მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება, პარტიის მიერ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ნახევარი საუკუნის გამოცდილება გვასწავლის, რომ პარტიის ძალის, ბრძოლისუნარიანობის, შეკავშირების უცილობელი პირობაა კადრების პოლიტიკური მარქსისტულ-ლენინური წრთობა, როცა თვითეული კომუნისტი იდეური, აქტიური მებრძოლია. ჩვენი დღევანდელი პლენუმი განხილავს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების საკითხს. „თანამედროვე სოციალისტური შეგნება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ღრმა მეცნიერული ცოდნის საფუძველზე“. დღეს ეს სიტყვები განსაკუთრებული აქტუალობით ჟღერს: ისინი ბევრ რამეს გვეუბნებიან იმაზე, თუ როგორ უნდა ეუფლებოდეს ყოველი კომუნისტი თეორიას და როგორი უნდა იყოს თვით პროპაგანდა. ისინი გვეუბნებიან, რომ თეორიის უცოდნელად არ არის და ვერც იქნება ვერავითარი იდეოლოგია, მით უმეტეს მარქსისტული იდეოლოგია. აი რაღომ გამოყო ცენტრალური კომიტეტის პიუროს ეს საკითხი იდეოლოგიური მუშაობის, ეს ყველა სხვა რგოლიდან და მიზანშეწონილად ცნო გაეხადა იგი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სპეციალური განხილვის საგნად.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ პოლიტიკური განათლების სისტემა ერთიანებდა საწარმოო-ტექნიკური და პროფესიული სწავლების სხვადასხვა ფორმას, არსებითად მისი გაძღოლა შეუძლებელი აღმოჩნდა და მან თანდათან დაკარგა თავისი სპეციფიკა. პარტიული განათლების მნიშვნელობას და ქმედითობას ისიც ამცირებდა, რომ ხშირად ნაკლები ყურადღება ეთმობოდა იმას, თუ როგორ სწავლობდნენ კომუნისტები მსოფლმხედველობითს პრობლემებს, უწინარეს ყოველისა პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის პრობლემებს.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა მთელი პარტიული მუშაობის დონის ასამაღლებლად. ამაღლდა პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა უფრო ქმედითი კონტროლი გაუწიონ კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას.

ამეამად ანალიზს რომ ვუკეთებთ პარტიული განათლების ახალი სისტემის განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით გაწეულ მუშაობას, შეგვიძლია ვთქვათ რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობამ ძირითადად დაძლია მთავარი შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებდა პარტიული სწავლების წინანდელ სისტემას.

ახლა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია მსოფლმხედველობითი, თეორიული დისციპლინების შესწავლა, კომუნისტებისა და უპარტიოთა აქტივის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილების, ჩვენი პარტიის სახელოვანი ისტორიის თანამიმდევრულად დაუფლება. პარტიული სწავლების სისტემაში ალარ არის ხელოვნური პრობლემატიკა, სწავლების ფორმების დანაწევრება, უსისტემობა, ესე იგი ნაკლოვანებანი, რომლებიც უმთავრესად გამოწვეული იყო იმით, რომ პოლიტიკური განათლება მოწყვეტილი იყო ცხოვრებას.

პარტიული სწავლების სისტემის წარმატებითი მუშაობის გადამწყვეტი პირობა მისი ყოველდღიური ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

პარტიულმა კომიტეტებმა, მათმა პროპაგანდის განყოფილებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიული სწავლების ყველა რგოლში მეცადინეობის იდეური შინაარსის ამაღლი ღონის უზრუნველსაყოფად.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის კარგ წამოწყებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ შეიქმნა ქალაქის პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის უნივერსიტეტი, მოეწყო ხალქმომბრო კითხვები, აგრეთვე ბევრი სასარგებლო, შინაარსიანი ღონისძიება შემოქმედებითი და მეცნიერული ინტელიგენციის იდეური აღზრდისათვის.

პარტიული სწავლების სისტემის მეცნიერული ორგანიზაციის დარგში საინტერესო გამოცდილება შეიძინა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს პარტიული სწავლების სისტემის პერსპექტიული დაგეგმვისა და იდეოლოგიური მუშაობის დარგში კოლეგიის წინაშე, ბიუროებსა და ნაკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის საკითხებს. საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, რომლის რეკტორია პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ხვარცია. ეს, რა თქმა უნდა, კარგი და საჭირო წამოწყებაა.

გორის რაიონის ბერბუკის მეგობსტენობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. შ. სხირტლაძე) სისტემატურად განიხილავს კომუნისტთა პარტიული სწავლების საკითხებს კრებებსა და ბიუროს სხდომებზე, მეთოდურ დახმარებას უწევს პროპაგანდისტებს, ახორციელებს სკოლების: და სემინარების ორგანიზაციული განმტკიცების ღონისძიებებს.

ასევე მაღალ იდეურ-ორგანიზაციულ დონეზეა დაყენებული კომუნისტთა და უპარტიოთა პოლიტიკური სწავლება თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

მაგრამ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებანი, გადაუჭრელი საკითხები.

პარტიული განათლების სისტემის დაკომპლექტებაში სერიოზული დარღვევებია დაშვებული ქუთაისის, კასპის, თიანეთის, გეგეკორის და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, როცა დაწყებითს სკოლებში საპენსიო ასაკის ადამიანებს ამბავენ. ძნელია ვივარაუდოთ, რომ ხანდაზმული ასაკის ადამიანი შეძლებს წარმატებით აითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების ოთხწლიანი პროგრამა.

პარტიული სწავლების დაწყებითი და საშუალო რგოლების დაკომპლექტებისადმი ასეთი მიდგომა უაღრესად სერიოზულად უნდა გავაკრიტიკოთ.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტის მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროპაგანდის განყოფილებანი, პოლიტგანათლების სახლები და კაბინეტები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ პარტიულ სწავლებას, ჯეროვნად ვერ აფასებენ იდეოლოგიური მუშაობის ამ დიდმნიშვნელოვანი უბნის ადგილსა და მნიშვნელობას. პარტიული განათლების ხელმძღვანელობაში ცოტა როდია ფორმალიზმი. აი დამახასიათებელი მაგალითი: მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პოლიტეკონომიის პროპაგანდისტად მუშობს ა. ტუროშვილი. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ იგი ვერ ერკვევა ეკონომიური მეცნიერების ელემენტარულ საკითხებში. პროპაგანდისტმა ერთ-ერთი მეცადინეობა მიუძღვნა თემას „სასაქონლო წარმოება სოციალიზმის დროს“. მაგრამ როცა მკითხეს, რა არის საქონელი, ვერ უპასუხა. სავსებით გასაგებია, რომ ამ სკოლაში მსმენელთა წარმატება დაბალია. პარტიულმა ორგანიზაციამ კი რა გააკეთა კომუნისტთა პარტიულ სწავლებაში ესოდენ არასაბარბელო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად? სასწავლო წლის განმავლობაში მას ერთხელაც არ განუხილავს პოლიტიკური სწავლების საკითხი არც პარტიულ კრებებზე, არც ბიუროს სხდომებზე. თვითონ პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ძულიაშვილი აღნიშნული პოლიტსკოლის მსმენელია. მაგრამ მთელი სასწავლო წლის მანძილზე ერთხელაც არ დასწრებია მეცადინეობას, თუმცა იგი განთავისუფლებული მდივანია.

სამწუხაროდ, ეს მაგალითი გამონაკლისი როდია. ჩვენში ჯერ კიდევ არიან პარტიულ ორგანიზაციათა ისეთი მდივნები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სხვებმა უნდა ისწავლონ, თვითონ კი მხოლოდ უნდა ხელმძღვანელობდნენ პარტიულ განათლებას.

ამბეტის რაიონში ამგვარი ფაქტები ერთეული და შემთხვევითი როდია. პარტიის რაიონული კომიტეტი, მისი პროპაგანდის განყოფილება ცუდად ხელმძღვანელობს პროპაგანდისტთა კადრების შერჩევასა და განაწილებას. პარტიულ კაბინეტს კი აშკარად არ შესწევს უნარი გადაწყვიტოს პროპაგანდისტ-ეკონომისტთა და ფილოსოფოსთა მომზადების საკითხი. რაიონში სუსტად მუშაობენ პროპაგანდისტთა ოთხმოცდაოთხ მოქმედი სემინარები. უმოქმედოდ არიან მეთოდური საბჭოები, კონსულტანტთა ჯგუფები.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ზერელედ, ფორმალურად ეკიდებიან პარტიული განათლების საკითხებს და დღემდე ვერ გარკვეულან სწავლების მოქმედ სტრუქტურაში.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ პარტიის საოლქო, რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროების დადგენილებებშიც ზოგჯერ შეხვდებით ასეთ გადოთქმას: „ამა და ამ ორგანიზაციაში მოქმედებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა თუ პოლიტეკონომიის შემსწავლელი სამი წრე“ ან „შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ამდენი და ამდენი სემინარი“. მაგრამ ყველამ, და მით უმეტეს პარტიულმა ხელმძღვანელმა, ხომ უნდა იცოდეს, რომ უკვე მეექვსე წელია ჩვენში მოქმედებენ არა „წრეები“, არამედ დაწყებითი სკოლები და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლები, და რომ სემინარები მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებზე როგორც ასეთი საერთოდ არ არსებობს. ისინი კი თვლიან, განა დრო არ არის ბოლოს და ბოლოს გადავიარეთ პარტიული განათლების მოქმედ სისტემაში? ეს ხომ დიდი ნაბიჯია ახალი ამბავი ალარ არის.

ზოგჯერ გვაოცებს არსებითად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კომუნისტთა პოლიტიკური განათლების ორგანიზაციისადმი. საქმაკალეის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში (პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. ახალაია) მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის მეცადინეობა ამარტივებს სრულიად შეუფერებელ პირობებში. ერთ-ერთ მეცადინეობაზე ოთახში იყვნენ არა მარტო ამ სკოლის მსმენელები, არამედ ანგარიშწარმოების მუშაკებიც, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ შემაჯამებელი მეცადინეობის მსვლელობას და განაგრძობდნენ საბუხგალტრო საანგარიშოების ჩაბეჭდვას.

ეს და სხვა ასეთი ფაქტები, რომლებიც გვხვდება მთელ რიგ სამრეწველო, საკოლმეურნეო და დაწესებულებათა ორგანიზაციებში, მოწმობენ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს, ზოგჯერ კი სრულიად არ ესმის, თუ რა როლს ასრულებს პოლიტიკური განათლება იდეოლოგიური მუშაობის საერთო სისტემაში.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უნარიანად შეუხამონ ერთმანეთს პროპაგანდა და ორგანიზაცია, დაწესებულებით შეიწყალონ და შეაგროვონ ამ მუშაობაში არსებული ყოველივე მნიშვნელოვანი, რომ პარტიული სწავლების სისტემა სიტყვით კი არა, საქმით იყოს მასების მობილიზაციის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ახალი ადამიანისათვის ბრძოლაში.

ჩვენი შეხედულებით, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური განათლება არ უნდა შემოვფარგლოთ მარტო მარქსისტულ-ლენინური თეორიის ცალკეულ დებულებათა სწავლებით, მხოლოდ და მხოლოდ დაზეპირების პროცესით. იგი უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველყოფდეს მუშათა კლასის პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, უნდა აღმოფხვრას ყველა ის ნაკლი, რომლებიც აბრკოლებენ ამ აქტივობის გამოვლინებას. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის მიერ სინამდვილის გააზრება, საზოგადოების განვითარების, მატერიალური ცხოვრების მოთხოვნათა, ცხოვრებით ნაკარნახევი სოციალური და პოლიტიკური ამოცანების გაგება მათ მიერ უაღრესად ნაყოფიერია თავისი არსით. ამიტომ ყველა პირობა უნდა შეექმნათ მის გამოსახატავად (პოლიტგანათლების სკოლებში, პრესის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით), ამას მივანიჭოთ ხანმუშათოა ზუსტად ჩამოყალიბებული პროგრამის ხასიათი. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვეწეოდეთ ჩვენს პროპაგანდას უფრო ქმედითად, განვამტკიცებდეთ პირობათა იმ აუცილებელ კომპლექსს, რომელიც საიმედო საფუძველს შეუქმნის როგორც იდეოლოგიის დარგში ჩვენი პარტიის ხაზის ყოველგვარი რეკვისა და დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლას, ისე მასების აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიისა და პრაქტიკის კავშირის საკითხის სწორად გაგებას.

არაერთხელ ყოფილა შემოხვევა, როცა ცდილობდა რა ეჩვენებინა შესაბამისი საკითხის კავშირი პრაქტიკასთან, ცხოვრებით ნაკარნახევ პრობლემებთან, ზოგიერთ ამხანაგს მოჰყავდა პრიმიტიული, ზოგჯერ კი სრულიად შეუსაბამო მაგალითები. ხელოვნურად მიაწერენ რა სამეურნეო წარმატებებს პოლიტსკოლების კარგ მუშაობას, ისინი ამახინჯებენ ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის მარქსისტულ-ლენინური გაგების ნამდვილ აზრს. საამქროს ან განყოფილების მიერ საწარმოო გეგმის შესრულებას, მუშათა შრომის ორგანიზაციისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, საუკეთესო სამარკო ღვინოებისა და კონიაკების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებასაც კი ზოგჯერ მიაწერენ სკოლებისა და სემინარების კარგ მუშაობას, და ეს საწარმოო წარმატებების თითქმის მთავარ მიზეზადაც კი მიაჩნიათ.

პროპაგანდა, პარტიული განათლება ყოველთვის როდი ახდენს გავლენას წარმოებაში მომუშავე ადამიანებზე, და მაშასადამე, ყოველთვის როდია საწარმოო წარმატებათა მიზეზი. მხოლოდ მაშინ, როცა პროპაგანდისტული მუშაობა ეყრდნობა ჩვენს სოციალისტურ ყოფიერებას, როცა მას საფუძვლად უდევს მატერიალურ წარმოებაში კოლექტივის რეალური მიღწევები, შეგვიძლია მეცნიერული გავლენა მოვახდინოთ ადამიანთა შეხედულებებისა და მრწამსის ჩამოყალიბებაზე.

მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საზოგადოების ცხოვრება არ შემოიფარგლება მარტო მატერიალური სფეროთი. საზოგადოება არსებობს მატერიალური და სულიერი მხარეების ერთიანობაში. ამიტომ პარტიულ პროპაგანდას მხოლოდ მაშინ შეუძლია წარმატებით შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი როლი, როცა იგი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული არა მარტო მატერიალურ საფუძველთან, არამედ ხალხის სულიერ ცხოვრებასთანაც და გაითვალისწინებს მასების შეგნებულობის დონეს, მათს სულიერ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

სწორედ პროპაგანდისა და ცხოვრების კავშირის ამ მეორე მიმართულების შეუფასებლობით აიხსნება ისიც, რომ ზოგიერთმა პარტიულმა ორგანიზაციამ გარეგნულად საპატიო საბაბით, ვითომ ცხოვრებასთან პროპაგანდის კავშირის განმტკიცების მიზნით, ძირითადი ყურადღება მიაპყრო კონკრეტულ-ეკონომიური ცოდნის გავრცელებას, ხოლო მსოფლმხედველობითი დისციპლინების პროპაგანდა გაუმართლებლად უკანა პლანზე გადასწია, რა გამოიწვია ამან, ეს კარგად არის ცნობილი. ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ პრაქტიკულ დავალებათა მეთოდს. პრაქტიკის კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტაში მსმენელთა ჩაბმა კი პარტიული პროპაგანდის მუდმივი ტრადიციაა. მაგალითად, ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუახანებში პეტერბურგში პროპაგანდისტად მუშობის პირველ დღეებშივე უარი თქვა სწავლების მედგადთნოურ მეთოდებზე და პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბა თავისი მსმენელები.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური განათლების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ საჭიროა გადადგეს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური სწავლების მდგომარეობისათვის.

ამ ბოლო წლებში პარტიული განათლების სისტემაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ისინი გადაიქცნენ პარტიული აპარატის მეთოდიკურ ცენტრებად, თავისებურ თეორიულ და სამეცნიეროსაკვლევ რგოლებად.

ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილება და პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა მოაწყონ და განამტკიცონ პარტიული განათლების სისტემა, აღაზრდონ პროპაგანდისტებული კადრები, დაამუშაონ და შეისწავლონ პარტიული განათლების ის მეთოდიკის აქტუალური პრობლემები.

სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის ნაკლია ისიც, რომ პარტიული განათლების სისტემაში ძალიან სუსტად უნერგავენ მსმენელებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს.

თვითგანათლება ჩვენი მუშაობის ყველაზე სუსტი მხარეა.

აფხაზეთის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში მოეწყო პოლიტსკოლების მსმენელთა საანკეტო გამოკითხვა. გამოკვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მეტი წილი მსმენელები პირველწყაროებს არ კითხულობენ.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვასწავლით ადამიანებს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობას, ცუდად ვაწყობთ მათს თვითმომზადებას.

ახალი სასწავლო წლიდან პარტიულმა ორგანიზაციებმა, პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ პარტიული სწავლების ყველა ძირითადი რგოლის განსამტკიცებლად.

უარი უნდა ვთქვათ ზოგიერთი ამხანაგის იმ მცდარ აზრზე, რომ დაწყებითის სკოლაში პროპაგანდისტობა თითქოს ყველა ოდნავ მაინც განათლებულ ადამიანს შეუძლია.

საჭიროა აგრეთვე უფრო გულმოდგინედ მოვიფიქროთ სწავლების ფორმები იმ მსმენელთათვის, რომლებიც არასაკმარისი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გამო ვერ შეძლებენ სწავლის გაგრძელებას. პარტიული განათლების საშუალო რგოლში.

ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების განსამტკიცებლად. მთავარია პროპაგანდისტ ისტორიკოსთა, ეკონომისტთა, ფილოსოფოსთა მომზადება.

1969 წლის იანვრიდან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში დაიწყება მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსის შესწავლა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა რაც შეიძლება ფართოდ ჩაბაან ამ საქმეში ჩვენი ინტელიგენციის კადრები, უწინარეს ყოვლისა ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები, და მოაწყონ პროპაგანდისტ-ფილოსოფოსთა სწავლება თვითეულ ქალაქში, თვითეულ რაიონში. ეს მუშაობა უნდა დავიწყოთ დაუყოვნებლივ და ვაჯარმოოთ მოთმინებით, ბეჯითად, უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე.

არ შეიძლება აგრეთვე სწორად მივიჩნიოთ ის, რომ კომუნისტები, რომლებიც მეცადინეობენ პოლიტიკური სწავლების უმაღლეს ფორმებში, ყოველწლიურად ცვლიან თავიანთი პოლიტიკური მომზადების გეგმებს. უმაღლესი პოლიტიკური განათლება გულისხმობს მოსწავლეთა ცოდნის სპეციალიზაციას, რომელიც გამომდინარეობს მათი საწარმოო საქმიანობის ხასიათიდან, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამა თუ იმ პრობლემისადმი ინტერესიდან. ამისათვის უნდა ვიქონიოთ რამდენიმე წლის პროგრამა, რაც საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ წინაადმდეგობებსა და პრიმიტიულობას თეორიულ სემინარებს მუშაობაში. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი თეორიული სემინარის მუშაობის დონე ყოველთვის როდი აკმაყოფილებს ჩვენი ინტელიგენციის მოთხოვნილებებს.

რაკი საქმე შეეხო პარტიული განათლების უმაღლეს რგოლს, მოკლედ შევჩერდეთ ინტელიგენციის თეორიული სწავლების საკითხებზე.

შეიძლება მოვიყვანოთ ინტელიგენციის პოლიტიკურ სწავლებაში მოპოვებულ წარმატებათა ბევრი მაგალითი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეკონომიურ და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სამთო საქმისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და სხვ. პოლიტიკური სწავლება სათანადო დონეზეა დაყენებული.

ნაყოფიერად მუშაობენ მეთოდოლოგიური სემინარები, რომლებიც აერთიანებენ მედიცინის მუშაკებს.

ზოგჯერ გვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მუშაკი ჩემულობს ჩვენს ცხოვრებაში დამრგვალების როლს, მოითხოვს თავისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და განსაკუთრებულ პირობებს. მათ კარგად იციან თავიანთი უფლებანი. მაგრამ თუ გავეცნობით ზოგიერთი მათგანის შემოქმედებას, აღვილად დავრწმუნდებით, რომ მათი ნაწარმოებები იდეურად და მხატვრული თვალსაზრისითაც დიდ ღირებულებას როდი წარმოადგენს. ამ ხელოვანთ ზოგჯერ არც კი ესმით, რომ შემოქმედებით წარუმატებლობათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იდეური უმწიფრობა და შინაგანი რწმენის უქონლობა. ხოლო იდეურობა, რწმენა განყენებული ცნებები როდია. შემოქმედი მაშინ არის იდეური, როცა ღრმად, კარგად იცის მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, როცა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. მხოლოდ მაშინ ხდება მისთვის წმიდა და გასაგებ საქმედ ხალხისადმი სამსახური, მხოლოდ მაშინ ელინდეება მის შემოქმედებაში ნამდვილი პარტიული მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, სურათები, რომლებიც საბჭოთა კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში შეიყვა: „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“, „ჩაპაევი“, „ჯარისაცის მამა“ და ბევრი სხვა. განა ცხადი არ არის, რომ ასეთი ფილმების შექმნა შეიძლოთ არა მარტო დიდად ნიჭიერ ადამიანებს, არამედ თავიანთი მოვალეობის ერთგულ, პარტიის, ხალხის ერთგულ ადამიანებს, რომლებსაც ღრმად სწამთ ჩვენი საქმის სიმართლე და გამარჯვება.

ინტელიგენციის იდეური აღზრდის საკითხების გადაჭრა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პარტიულ კომიტეტებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე. ბევრი მათგანის მუშაობას კი ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

მაგალითად, მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფიტთა კავშირების პარტიული ორგანიზაციები იშვიათად განიხილავენ კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური სწავლის საკითხებს, იშვიათად აწყობენ თეორიულ კონფერენციებსა და დისკუსიებს, დისპუტებსა და განხილვებს, ლექციებსა და მოხსენებებს ხელოვნების აქტუალურ თემებზე

მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმობს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი პარტია იდეოლოგიურ მუშაობას.

ყოველივე ნათქვამიდან ჩანს, რომ გარკვეულ წარმატებებთან ერთად მთლიანად პოლიტიკური განათლების სისტემას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჩამორჩენის მიზეზებს ანალიზს რომ ვუკეთებთ, უნდა ვთქვათ, რომ სკოლებისა და სემინარების მსმენელთა ნაწილის ცოდნის დაბალი დონე, პროპაგანდისტული კადრების მნიშვნელოვანი ნაწილის სუსტი თეორიული მომზადება, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის არასაკმარისი იდეურ-პოლიტიკური წრთობა, უეჭველია, გამოწვეულია იმით, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკური განათლების სისტემაში ჩამორჩენის ერთადერთი მიზეზი როდია. მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ, კიდრე ეს ერთი შეხედვით გეჩვენება. საქმე ის არის, რომ პარტიულ განათლებაში საქმის ვითარება პირდაპირ დამოკიდებულია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ დისციპლინათა სწავლების დონეზე. ამავე დროს ზოგიერთი კათედრის მუშაობის დონე აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი მასწავლებლის საერთო მომზადება და კულტურა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ცხოვრების თანამედროვე მაღალ მოთხოვნებს.

ბევრ სასწავლებელში შეუწყნარებლად დაბალია ლექციებისა და სემინარების მეცნიერული და პედაგოგიური დონე. საჭიროა ძირეულად ავამაღლოთ სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების სწავლების დონე. უნდა გადავლახოთ მედავითნეობისა და ფორმალიზმის ელემენტები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებაში, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა შემადგენლობა, ავამაღლოთ მათი ცოდნის დონე, სტუდენტებთან შემოქმედებითი მუშაობის უნარი, ჩავუნერგოთ მათ სიყვარული რევოლუციური თეორიისადმი, აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისადმი.

მტკიცედ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ მომავალ სპეციალისტებს, კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს ესაჭიროებათ არა მარტოოდენ ფაქტებისა და წესების ნუსხა, არამედ ღრმა მეცნიერული მსოფლმხედველობა და ლენინური პარტიული ფსიქოლოგია, ისეთი ადამიანები, ვინც ეს ფაქტები ადგილობრივ, ცხოვრებასთან, შემოიღებს მათი მორალური წახალისება. საუკეთესოთა შორის 14 საუკეთესო პროპაგანდისტი დაჯილდოდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით. პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი გიგზავნა საეჭურაციოდ მეგობრობის მატარებლით ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში. მოეწყო მეთოდური კონფერენციები პროპაგანდის საკითხებზე. გამოიცა წიგნი პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებაზე. აფხაზურ ენაზე გამოვა ბროშურა პროპაგანდის ლენინური პრინციპების შესახებ. მაგრამ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ცოტაა. ვიმზადებთ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, აფხაზურ ენაზე ვთარგმნეთ და გამოვეცით ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბიოგრაფია, გამოსაცემად გამზადებთ მის მთელ რიგ ნაშრომებებს. წლის ბოლოზდე დამთავრდება მუშაობა აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ისტორიის ნარკვევების შემზადისათვის.

ორგანური ლაპარაკობს ხელმძღვანელი კადრებისა და ინტელიგენციის სწავლებაზე, იმაზე, რომ საჭიროა ჩათი უფრო აქტიურად ჩაბმა პროპაგანდისტულ მუშაობაში, რომ ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ეჭცევა მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა ხელმძღვანელობას, კონტროლსა და დახმარებას. იგი ვხედრ ხაკითხს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ პარტიულ პროპაგანდაში სოციოლოგიური კვლევა.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის აპრილის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. დიასამიძე. მან აღნიშნა, რომ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაანალიზა ხელმძღვანელობა, დახმარება, კონტროლი, აგრეთვე მომთხოვნელობა პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური მუშაობის დარგში. რამაც თავის მხრივ გამოიწვია მასპინძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის აღმავლობა.

აჭარაში ბევრი რამ გაკეთდა კომუნისტებისა და უპარტიოების იდეურ-პოლიტიკური წრთობისათვის. სწავლებისა და მასობრივი პროპაგანდის სხვადასხვა ფორმით ყოველწლიურად ცოდნას იძაღლებს 20 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო ბასელ წელს პარტიული პროპაგანდის სისტემაში მუშაობდა 800-ზე მეტი სკოლა, თეორიული სემინარი და საკონსულტაციო ჯგუფი. თითქმის ყოველი კომუნისტი და ასობით უპარტიო ჩაბმული იყო პოლიტიკურ სწავლებაში. ავტონომიურ რესპუბლიკაში ბევრი კვალიფიციური პროპაგანდისტი გაიზარდა.

მაგრამ, აღნიშნა ორატორმა, მასალის პოლიტიკური განათლების საქმეში გაწეული მუშაობა საკმარისი არ არის. ზოგიერთი კომუნისტი ჯერჯერობ ინტერესს არ იჩენს პოლიტიკური სწავლებისადმი, ფორმალურად ესწრება მეცადინეობას, არ კითხულობს პოლიტიკურ ლიტერატურას; განსაკუთრებით პირველ წყაროებს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს. ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ზედსაკმარ ყურადღება ვერ მიაქცია ბელ ბალშევიკურ ბრძოლას, ბრძოლას ბალშევიზმის ნარჩენებთან, ბურჟუაზიული ფილოსოფიის ბანალურ ფალსიფიკაციებთან, ბურჟუაზიულ ეროვნულ-ნაციონალისტურ ელემენტ

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠ ᲑᲔᲥᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲑᲔᲥᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡ დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. დღევანდელი უფროსი თაობის ქართველ არქიტექტორთა შორის მას ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. როგორ ამას ვამბობთ, ვგულისხმობთ იმ საერთო სიყვარულს, რომელიც მან მთელი თავისი მოღვაწეობით დაიმსახურა ჩვენს საზოგადოებაში, და მის მრავალფეროვან და ფართო დიაპაზონის შემოქმედებას. სამი ათეული წლის მანძილზე ჩვენს არქიტექტურულ ცხოვრებაში თითქმის არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ბექან ლორთქიფანიძეს მასში რაიმე მონაწილეობა არ მიეღოს.

ᲑᲔᲥᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ბექან ლორთქიფანიძემ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მთელი ენერგიით მოჰკიდა ხელი დამპროექტებლის რთულ და შრომატევად საქმეს. ნიჭიერი ახალგაზრდა არქიტექტორის პროექტებმა თავიდანვე მიიპყრო ყურადღება და მალე მათმა ავტორმა პირველი გამარჯვებაც იზეიმა. 1933 და 1934 წლებში გამართულ კონკურსებზე რიონჰესის სახელობისა და მეჩაიეთა საბჭოთა მეურნეობების საცხოვრებელი სახლების დაპროექტებაზე არქიტექტორთა ჯგუფმა, რომლის მონაწილეც ბექან ლორთქიფანიძე იყო, პრემიები დაიმსახურა.

ბექან ლორთქიფანიძე მონაწილეობდა ბათუმის, გორის და სხვა რაიონების მუშათა დასახლებების გენერალური გეგმების შედგენაში, ქუთაისის აზოტოვანი სასუქების კომბინატის დასახლების დაგეგმარებაში, ხაშურის ადმინისტრაციული სახლის, სიღნაღის კულტურის სახლის, კასპის კლუბის დაპროექტებაში. პარალელურად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ბ. ლორთქიფანიძე მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, უცხოეთიან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოებაში, სადაც ქართული კულტურის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს უდგა სათავეში. იგი ქართული ინტელიგენციის იმ წრეს მიეკუთვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობს თავისი ცოდნა მთლიანად სამშობლოს მოახმაროს და მუდამ საზოგადოების ინტერესებით ცხოვრობს. ჩვენს იუბილარს, თუ შეიძლება ითქვას, გული ყველგან მიუწვდება, თანაბრად აღელვებს ჩვენი მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის ბედიღბალი.

ბექან ლორთქიფანიძე დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეს, იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ჯერ თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ — თავმჯდომარე.

ამ ბოლო დროს ბექან ლორთქიფანიძე სათავეში ჩაუდგა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საპროექტო ორგანიზაციას — თბილისის ზონალურ სამეცნიერო-საკვლევ და ტიპური დაპროექტების ექსპერიმენტალურ ინსტიტუტს, რომელიც მოწოდებულია მთელი მუშაობა— არქიტექტურული თუ სამშენებლო — ექსპერიმენტებზე აგოს. თეორია და პრაქტიკა აქ მჭიდრო კავშირშია. ბუნებრივია, ასეთი პროფილის დაწესებულებებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელის მომზადების მაღალ დონეს, გამოცდილებას, ორგანიზაციულ ნიჭს. ბექან ლორთქიფანიძე ყველა ამ თვისებას გვლენს თავის მუშაობაში და ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის დიდი აგტორიტეტით სარგებლობს.

ინსტიტუტის ახალგაზრდობის შემოქმედებითი დაგეგეგეცებისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო ბექან ლორთქიფანიძის საზრუნავი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როცა ბექან ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე იყო, იგი უცვლელად სათავეში ედგა ახალგაზრდობის სექციას და მაშინაც დიდი ინტერესით ეკიდებოდა თვითეული ახალგაზრდა სპეციალისტის საქმიანობას.

დიდია ბექან ლორთქიფანიძის დამსახურება ქართული არქიტექტურის წინაშე. წლების მანძილზე თანამედროვე არქიტექტურის ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში იღებს მონაწილეობას იგი, როგორც საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის პრეზიდიუმის და სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის უცვლელი წევრი.

შესანიშნავი სპეციალისტი, კომუნისტი და მოქალაქე, მშენებელი, სამამულო ომის მონაწილე, თადარიგის ოფიცერი, არქიტექტორი, ხალხის რჩეული დღეს 60 წლისაა, მაგრამ კვლავ ჭაბუკური შემართებით შრომობს, გულით ატარებს სამშობლოს სიყვარულს, იღწვის მისი ბედნიერებისათვის. მადლიერი საზოგადოებრიობა მხურვალედ ულოცავს ამაგდარ არქიტექტორს ამ თარიღს, ჯანმრთელობას უსურვებს მას მამულის საკეთილდღეოდ.

თინა ᲯᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ“ თბილისელთა დასვენების საყვარელი ადგილი გახდა. შაბათ-კვირას მის ნაპირებთან ბევრი დამსვენებელი იყრის თავს. რგოლურ მოასფალტებულ გზაზე კი ჯგუფ-ჯგუფად ვარჯიშობენ ველოსიპედისტები. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ხედავთ ამ სურათზე.

ფოტო. ვლ. გინზბურგისა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ბ. Ვ. ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲘᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲝᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲛᲮ. ᲑᲔᲥᲐᲜ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Გ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **Შ. ᲙᲐᲢᲐᲛᲐᲫᲔ**

თბილისი, 1968 წლის 21 ივნისი.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 21 ივნისი. (საკუთარი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხაგენტო იუწყება, გუშინ ბრატისლავაში გაიმართა სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგშია — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-14 საგანგებო ყრილობის მომზადება და სლოვაკეთის კომპარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევა.

სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის საგანგებო ყრილობა მოწვეულია ა. წ. ოქტომბრისთვის.

მოხსენება პლენუმზე გაკეთა სლოვაკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ბილიაკმა.

დასასაბუთა რა წინადადება საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ, ვ. ბილიაკმა, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა მოწვეულია უმთავრესად იმ პრობლემების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ფედერაციულ წყობასთან.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებაში სლოვაკეთის კომპარტიის მონაწილეობის საფუძველია ლენინური პრინციპების სწორად გამოყენება და მინაპარტიული დემოკრატიის დაცვა, ამასთან დემოკრატიული ცენტრალიზმის თანმიმდევრულად გამოყენება. ორი თანასწორუფლებიანი ხალხის ერთად არსებობისა და ფედერაციული წყობილების პირობებში, თქვა მან.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-14 საგანგებო ყრილობის შემდეგ (1968 წლის სექტემბერში) სლოვაკ კომუნისტთა ოქტომბრის საგანგებო ყრილობის ამოცანა იქნება განსაზღვრონ სლოვაკეთის კომუნისტური პარტიის მოქმედების ხაზი და სტრუქტურა ფედერაციულ რესპუბლიკაში.

პლენუმმა აირჩია კომისია სლოვაკეთის კომპარტიის საგანგებო ყრილობის მოსამზადებლად.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 ივნისი. საკუთარი კორესპონდენტი ა. მელიქიანი იუწყება:

ორი დღის წინათ აქ გაიმართა პატიოსან ამერიკელთა დემონსტრაცია, რომლითაც მათ სოლიდარობა გამოუცხადეს ამერიკის ღარიბთა ლაშქრობას შიმშილისა და უუფლებობის წინააღმდეგ. ამით აღფრთოვანებული კარვების ქალაქის მცხოვრებნი ახალი აღმავლობით ჩაებნენ მძიმე ბრძოლაში ოფიციალური ვაშინგტონის უსულგულობის წინააღმდეგ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲨᲔᲤᲐᲪᲐᲒᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲛᲝᲛᲪᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲪᲔᲢᲘᲠᲔᲑᲐ. მას შემდეგ, რაც მინისტრმა ფრიმენმა უარი თქვა ღარიბთა წარმომადგენლების მიღებაზე, მათ დაიწყეს შენობის შესახვლელთა პიკეტირება. პოლიცია, რომელიც დღედაღამის განმავლობაში მორიგეობს სამინისტროს, შეუდგა მეპიკეტეების დაპატიმრებას.

ამასობაში კარვების ქალაქის მცხოვრებთა სხვა ჯგუფები სამინისტროსთან მაგისტრალის შუა ნაწილში, სადაც დიდი მოძრაობაა, დასხდნენ და შეაჩერეს ავტომობილების მოძრაობა პიკის საათებში. პოლიციელები მისცივდნენ მათ და გაიყვანეს ქუჩიდან. დაპატიმრებულია 50-მდე კაცი.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე ვაშინგტონში, ღარიბთა ლაშქრობის ხელმძღვანელმა მღვდელმა აბერნეთიმ განაცხადა, რომ გაიტიურდება „განახლების ქალაქის“ ღარიბთა ბრძოლა, რასაც, მისი აზრით მოჰყვება მასობრივი დაპატიმრება. მან ნათქვამია, რომ თუ კონგრესსა და მთავრობის სხვადასხვა უწყებამ არ დააკმაყოფილეს ლაშქრობის მონაწილეთა მოთხოვნები, ისინი მომართავენ მასობრივი სამოქალაქო ურჩობის ტაქტიკას. ᲐᲮᲚᲐ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲙᲘᲠᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐᲣᲠᲝᲜ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲗᲥᲕᲐ ᲐᲑᲔᲠᲜᲔᲗᲘᲡ.

ᲯᲔᲛᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 ივნისი. (საკუთარი). მარტინ ლუთერ კინგისა და სენატორ რობერტ კენედის - მოკვლა ადასტურებს, რომ „დანაშაულობა და ძალადობა დღეისწინდელ ამერიკაში სულ უფრო ჩვეულებრივი მოვლენა ხდებაო“, — განაცხადა შეერთებული შტატების პიცს-პრეზიდენტმა ჰემფრიმ.

გამოვიდა რა პრესის ეროვნულ კლუბში, ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ცდილობს მისი კანდიდატურა დააყენონ პრეზიდენტის პოსტზე, შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების შინაპოლიტიკურ პრობლემებს.

„ჩვენი ჟურნალისტების ბუნებაში ილახება ადამიანის ღირსება, სასოწარკვეთილება მოიცავს უმუშევრებს, და უწიგნურობა ასაჩირქებს ადამიანებს“, თქვა ჰემფრიმ.

მან აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ხდება 8 ათასი მკვლელობა და 4 მილიონზე მეტი სხვა დიდი დანაშაული.

ᲐᲨᲨ. ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲚᲘᲜᲙᲝᲚᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲗᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ „ᲝᲓᲔᲒᲛᲝᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲕᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲛ�პᲐᲜᲘᲐᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ერთ-ერთ მიტინგზე კარვების ქალაქში. სიტყვას ამბობს მღვდელი ჯეი ჯეკსონი — ღარიბთა ლაშქრობის ერთ-ერთი ლიდერი.

ფოტო ა. მელიქიანისა (საკუთარი ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐᲒᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲐᲢᲘ

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲘᲒᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ 1968 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ Დ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲔᲪᲧᲝᲑᲐ ᲨᲐᲤᲩᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲡᲚᲕᲐ-ᲚᲘ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ სემესტრის **აკადემიური დავალიანების დაუფარავად** სტუდენტები **საშაფხულო საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.**

სტუდენტები შესაბამის საგანში **გამოცდაზე არ დაიშვებიან** აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ **საკონტროლო სამუშაოზე დადებითი რეცენზია** არა აქვთ.

სესიაზე გამოცხადებისას სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამსახურის შესახებ, გაცემული სათანადო უწყების მიერ (მასწავლებლებმა — განათლების განყოფილებიდან).

სესიაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტებმა სათანადო საბუთის წარმოდგენით ეს უნდა აცნობონ ფაკულტეტის დეკანატს **მომდინარე წლის 20 ივნისამდე.** ლექციებზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სტუდენტები ზაფხულის საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.

რეგისტრაცია იწარმოებს 22 ივნისს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში.

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ, 28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

06.33 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — კონცერტი „ნაცნობი მელოდიები“, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — მ. ფარცხალაძე. სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.15—მუსიკალური რადიოფოცა, 12.45—ქართული ხალხური სიმღერები, 13.00—ლისტი. სიმფონიური ნაწარმოებები, 14.00 —გადაცემა მოსწავლეთათვის. „მედოლის ბედი“ — რადიოდადგმა (ნაწილი პირველი), 14.45 — სუბარი „ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲐ“, 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — ნ. ავაშვილი. „ლადო ასათიანი“ (მოგონება), 16.00 — ციკლიდან „გამორჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“ — უკრავს ალფრედ კორტო, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — კონცერტი „თქვენი თბოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — „საბჭოთა მუსიკის საათი“ — არონ ბაბაჯანიანი, 20.20 — სცენები სპექტაკლებიდან „შავთვალა გოგონა“, „ოლმეურნის ქორწინება“, „მარინე“, 21.30 — ქართველ ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.30 — საცეკვაო მუსიკა.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ“ —მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“ — სამეცნიერო შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა პიატიგორსკიდან), 12.00 — „ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘ ᲛᲔᲚᲝᲓᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — საეტაპო კონცერტი, 12.30 — გადაცემა „რეკომენდაცია“ (13 მაისის გადაცემის გამეორება), 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.00 — „22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ“ — გადაცემა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლიდან, 14.35 — სატელევიზიო ასალი ამბები, 14.45 — „ᲪᲝᲜᲓᲐ“ — სამეცნიერო შემეცნებითი პროგრამა, 15.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მამაცთა კლუბი“, 16.30 — „ᲔᲗᲘᲠᲜᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ“, 17.35 — ახალი ამბები, 17.40 — დოკუმენტური ფილმი „ᲨᲣᲥᲓᲐᲕᲘ ᲝᲪᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ“, 18.00 — გადაცემა „ᲛᲐᲜᲭᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲚᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲐ“, 18.15 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ᲪᲘᲠᲜᲝᲓᲘᲡᲐᲜ ᲒᲐᲠᲜᲐᲚᲘ“, 2. ცისკარი, 19.00 — „ᲙᲘᲜᲝᲛᲠᲒᲖᲐᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა „ᲛᲗᲐ, ᲓᲘᲓᲐᲛᲘᲜᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“, 20.25 — დოკუმენტური ფილმი „ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ“ (I სერია), 21.35 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ“.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ დილის 10-დან 00 ს. და 45 წუთამდე.

● ᲙᲕᲘᲠᲐ, 23 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

09.25 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 10.15 — „ᲛᲐᲒᲘᲜᲐᲠᲐ“ (გადმოცემა კრასნოდარიდან), 10.45 — ესთეტიკური აღზრდის ტელეფეტორიუმი — ეზმიტაკი (19 ივნისის გადაცემის გამეორება), 11.05 — მხატვრული ფილმი „ᲗᲣᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲨᲛᲘ“, 12.25 — კონცერტი ბავშვებისათვის, 12.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად „ᲛᲐᲜᲭᲐᲜᲐ ᲘᲑᲐᲠᲑᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ“, 13.10 — კინონარკვევი, 13.30 — „ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘ“ სატელევიზიო სატირული კრებული (გადმოცემა დონის როსტოვიდან), 14.00 — კინოჟურნალი „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲠᲫᲝᲚᲘ“, 14.15 — „კონცერტი ნავსადგურში“ (გადმოცემა ბერლინიდან), 15.15 — „თქვენთვის, ქალებო!“ — სატელევიზიო ჟურნალი, 15.45 — „ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲝᲥᲣᲠᲔᲜᲘᲡᲐᲙᲐᲜ ᲛᲘᲒᲕᲘᲐᲕᲐᲠᲗ“ (გადმოცემა ოდესიდან), 16.15 — კინონარკვევი, 16.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.05 — გადაცემა ქალებისათვის, 17.40 — გადაცემა „ᲘᲐᲜᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲡ“, 18.05 — გადაცემა „ᲨᲕᲘᲠᲓᲘᲡᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲨᲘ“, 18.55 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 19.35 — გადაცემა „ᲓᲦᲔᲡᲬᲚᲛᲘᲡᲘᲚᲘ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲛᲫᲦᲕᲐᲠᲘ“ — ბექან ლორთქიფანიძე, 20.10 — დოკუმენტური ფილმი „ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ“ (II სერია), 21.15 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.30 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ჩეხოსლოვაკია-ბრაზილია — II ტაიმი (გადმოცემა ჩეხოსლოვაკიიდან), 22.15 — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-9 მსოფლიო ფესტივალის შესახვედრად „სოლიდარობისა, მშვიდობისა და მეგობრობისათვის“ — ვიქტორინის დასკვნითი ტური (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 10-დან 23 ს. და 55 წუთამდე.

● ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 12.00 — პოლონური მხატვრული ფილმი „ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘ“ (I სერია), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲗᲕᲘᲡ“ — „ᲩᲘᲠᲙᲔᲓᲚᲘᲡ სახელოსნო“, 18.50 — გადაცემა „ᲓᲘᲓ ᲒᲖᲐᲖᲔ“ — სოფელ სიონში, 19.05 — კონცერტი, 19.35 — კინონარკვევი, 19.50 — სატელევიზიო ჟურნალი „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“, 20.30 — პოლონური მხატვრული ფილმი „ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘ“ (I სერია), 21.45 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „ᲙᲘᲜᲝᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ 11-დან 14 ს. და 15 წუთამდე და 18-დან 00 ს. და 15 წუთამდე.

● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

11.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 11.45 — პოლონური მხატვრული ფილმი „ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘ“ (II სერია), 13.30 — „ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲗ“ (გადმოცემა პოზნანიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. რ. ქორჭია. „ᲛᲐᲠᲘᲝᲚᲘᲡ ᲐᲙᲐᲜᲘ“; 2. „ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲯᲐᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲠᲔᲑᲚᲘ“, 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — „ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲔᲓᲐᲠᲘ“, 19.40 — გადაცემა — „ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ“ განათლების კერები ძველ საქართველოში“, 20.00 — საროიანი. „ᲛᲝᲛᲐᲑᲘ ᲩᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 21.15 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.45 — პოლონური მხატვრული ფილმი „ᲤᲐᲠᲐᲝᲜᲘ“ (II სერია).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ 11-დან 15 ს. და 25 წუთამდე და 18-დან 00 ს. და 30 წუთამდე.

● ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბ